


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდ-
უჭი სიფყვას, ტყუილებით და ჭებებით ბუბ-
თის გატანა ყველა უჯდრისმბაჭე უსამბაგლესია.

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი. 2016 წ. №180 (8072), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



**„რუსთავი-2“, გვარამიასთან ერთად
ნაციონალების ავ ზრახვებს ახმინებს,
ამიტომაც ეს კერძო პარტიული არხი
უნდა დადუმდეს! – ეს ხალხის მოთხოვნაა!**

**კანალიზაციის ლუქები
დავაბუტონოთ,
მიშას იქიდან
უყვარს ამოძრომა...**

ეს ჩანაწერები ფარული კი არა – ნაღვია!

**უკრაინა –
მტერი თუ
მოყვარე?**

კლუბ „ამერიკის ნამდვილი მეგობრების“ თხოვნა-მოთხოვნა

**ვინ და რატომ ებრძვის
„ჩინოზურას“**

**FORBES: უთხარით „არა“
ნათოს გაფართოებას, რადგან
საქართველოს და უკრაინას
ამერიკისთვის არანაირი
სარგებლის მოტანა არ შეუძლია**

**ნაცბანდის მეორედ
გახელისუფლებას
ხალხი აღარ დაუშვებს**

**ნიკალას
„შველი“
ეროვნულ
მუზეუმშია**

**აფსაზეთის
მოსახლეობისთვის მოსავლის
საქართველოში გატანა
უფრო სელსაყრელია**

**საქართველოში
სორბლის
ახალი ჯიშები
შემოდის**

საქართველო სოხუმის დასახას გლოვობს


საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გუშინ, ტრადიციულ ბრიფინგზე სოხუმის დაცემის შესახებ ისაუბრა.

მისი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული 28 გმირი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით დააჯილდოვა. გიორგი მარგველაშვილმა გმირთა მოედანზე, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

*** * ***

საქართველოს პრეზიდენტი-მინისტრმა **გიორგი კვიციანიძემ**, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით

ვინით შეამკეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ომში დაღუპული გმირები დღეს კიდევ ერთხელ გაიხსენეს და მათ სსოვნას პატივი მიაგეს.



„ქედს ვიხრის იმ ბიჭების სსოვნის წინაშე, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაიღუპა. სოხუმში, აფხაზეთი არის ჩვენი ეროვნული იდენტობის, ჩვენი გულის ნაწილი. დარწმუნებული ვარ, რომ გონივრული პოლიტიკით შევძლებთ ჩვენს აფხაზებთან ერთ სახელმწიფოში მშვიდობიან თანაცხოვრებას და ჩვენი შვილების ღირსეული მომავლის ერთად უზრუნველყოფას,“ – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზეც „გმირთა სავანე“ მივიდა. გენერალური შტაბის წარმომადგენლებთან ერთად ლევან იზორიამ აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების საფლავები ყვავილებით შეამკო.

*** * ***

თბილისის მერმა დავით ნარმაძემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. გარდაცვლილთა სსოვნას პატივი მიაგეს დედაქალაქის მთავრობის წევრებმაც.

ამ ქვეყნის გატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!

**„პირობამ კაცს ცოლი წაართვაო!“
ხალხური.**

**„სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა...“
რუსთაველი.**

ბიძინა ივანიშვილის მიერ, 2011 წლის 7 ოქტომბერს, ტელევიზიით გაკეთებულმა განცხადებამ, მისი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, დიდი გამოცოცხლება გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ! 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შეიქმნა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“, რომელმაც შექმნა საარჩევნო შტაბი, რომელთანაც ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმართულების დარგობრივი ჯგუფები. მათგან ერთი იყო სასამართლო წყლის თემა, რომელსაც ხელმძღვანელობდა შესანიშნავი მამულიშვილი, აკადემიკოსი პაატა გიორგაძე! მან და მისმა ჯგუფმა, წლების მანძილზე შეიმუშავეს, საქართველოსათვის უნიკალური პროექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საქართველოს გაჭირვების გაოხრიდან ამოყვანა! ყოველივე ამას სჭირდება, დღეს ქვეყნის სათავეში მყოფთა მცირე ჯგუფის (სამწუხაროდ) ნება! ამ პროექტის შესახებ როდესაც მოახსენეს ბატონ ივანიშვილს, მას განუცხადებია, მე საქართველო ღარიბი ქვეყანა მეგონა, თურმე მდიდრები ყოფილხართო(!) როგორც წინა არჩევნებზე, ახლაც დიდი ზარ-ზეიმით გაშალეს საარჩევნო კამპანია, როგორც მაშინ, ახლაც წამოვიდა დაპირებების ნიაღვარი! ამას წინაშე, ბატონმა პრემიერმა, წარადგინა რა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა, დამსწრე საზოგადოების წინაშე არ დაიხარა და, როგორც ოთხი წლის წინაშე, ახლაც უხვად გასცა მომავალი კეთილდღეობის ვეტილები! როდესაც დამსწრეთაგან ერთმა ახალგაზრდამ ჰკითხა, თუ რა სახსრებით აპირებდა ამ ყველაფრის განხორციელებას, მან დაუფიქრებლად უპასუხა, რომ მოიზიდავდა უამრავ ინვესტიციას(!)? ებრაელებს აქვთ ასეთი ნყველა, „შენი არ იცოდა და სხვისი არ გჯეროდეს!“ მინდა, ზოგი რამ შევახსენო, როგორც ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ დღევანდელ „ქოცებს“, ხელისუფალთ ჟენოდა „უნიათობი“, მათ, ის ანბანური ტექსტებითაა, რომელიც ბრწყინვალედ არის გადმოცემული ერთ ქართულ ხალხურ ლექსში. მომაქვს მცირე ამონარიდი ხსენებული ლექსიდან: „...მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ ნამში ავყვრის იარაღს, ჩვენ რას წავითვებთ იმ, ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა!“ აი ბატონებო, იმქვეყნად წავითვებთ მხოლოდ სახელს, რომელსაც მოხვეჭა უნდა! ამ თემასთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო მცირე წინადადება!

როგორც მოგახსენებთ, სასმელ წყალზე, თემას ბატონი პაატა და მისი ბრწყინვალე გუნდი დიდი ხანია, არის შეჭიდებული. იგი აქტიუალური იყო მისთვის წლების წინაშე. „ნაციონების“ ზეობის დროს, მის მიმართ იყო როგორც მორალური, ასევე ფიზიკური ზემოქმედება, ბოლოს იყო მატერიალური შეთავაზებაც, მაგრამ, ამ ბრწყინვალე ქართველმა, მიუხედავად ოჯახური სიღუჭისა, არ უღალატა ქართველი კაცის სახელს და არ

დათმო პროექტი! აი, რას ამბობს ბატონი პაატა: „გვაქვს უნიკალური შანსი, უსწრაფესად გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისიდან, ყველა ვალი გავისტუმროთ (!) და პირიქით, დივიდენდები მოვიპოვოთ. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქართული მეცნიერების ჯგუფმა გადარჩენის პანაცეას მივაკვლიეთ. ეს პანაცეა არის წყალი, როგორც პური ჩვენი არსობისა!“ ახლა რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვითარდებოდა ყოველივე. როგორც მოგახსენებთ, ბატონმა პაატამ და მისმა გუნდმა დიდი ძალისხმევით დაამუშავეს სასმელ წყალთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი. როგორია საქართველოს მტკნარი წყლის დებეტი, სად რა რაოდენობისაა და ბევრი სხვა. როგორც იგი ბრძანებს, საქართველოს სასმელი წყლის საერთო რესურსიდან (მხოლოდ) 0.75 %

ნელი საქართველოში გიორგი კაციტაძე ჩვენთან ერთად იზიარებს შობისა და ალღომის დღესასწაულებზე თქვენს გამოსვლებში აღნიშნულ პირად ხედვას საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის თქვენი ქვეყნის წყლის რესურსების სიდიადისა და მნიშვნელობის შესახებ და იმის აუცილებლობას, რომ ამ დიდი რესურსების განხილვა მოხდეს სტრატეგიული ასპექტით, რათა დიდი ისტორიის მქონე და ზნეობრივად ჯანსაღი ქვეყნის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. აგრეთვე, ვიცით, რომ წყლის რესურსები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მყიფე სამყაროსათვის. ამ კონტექსტში გულთან ახლოს მივიტანე ქართველი მეგობრებისა და პარტნიორების თხოვნა წყლის რესურსების განვითარების იმ პროექტის დახ-

თაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს ათწლეულში სასმელი წყალი გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისათვის. საქართველო ამ რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია და მისი მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან, კერძოდ, წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილის მოპოვებასთან. მინდა, მკითხველს გავაცნო ამონარიდი ბატონი პაატას წერილიდან, რომელიც მან დაამუშავა წინა არჩევნებისთვის მზადების დროს და გამოქვეყნდა პრესაში, „ქართული ეკონომიკური სასწაული, როგორც ქართული ოცნების ახდენა გარდაუვალია ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ“, აი, რას ამბობს იგი: „მერწმუნეთ, ჩვენ არ ვართ ლარიბ-ლატაკი ქვეყნის შვილები (როგორც ზოგიერთებს ჰგონია!), ჩვენ მთელს დედამიწაზე ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის, უმდიდრესი ერი ვართ(!), ვიდრე გაზისა და ნავთობის საბადოების მფლობელი ქვეყნებია, იმ უპირატესობით, რომ მათ ამონურვადი ენერგორესურსები გააჩნიათ, ხოლო საქართველო გამოირჩევა „მსოფლიო მნიშვნელობის“, ადამიანისათვის აუცილებელი, სასიცოცხლო დანიშნულების, მულტიგანანალური ბუნებრივი რესურსის (მტკნარი) სასმელი წყლის მარაგების სახით, რომლის „საექსპლოატაციო დასაშვები რაოდენობის“, მსოფლიო ფინანსური რესურსებში ჩართვის მექანიზმებისა და კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე, როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნული პროდუქტის მატერიალურად უსაღიანო მომგებიანი ქალაქების სახით, უზრუნველყოფს: დაფასებული სასმელი წყლის ინდუსტრიისა და გენერალური ტვირთბრუნვისათვის პორტ-ტერმინალის ასაშენებლად ფულადი რესურსების მოზიდვას, მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქციისათვის გარკვეული სეგმენტით ადგილის მოპოვებას და იქ დამკვიდრებას“. პატივცემული ხელისუფალთ, თქვენი ჭკუა და გონება მართლ საკუთარ კეთილდღეობაზე რომ არის მომართული, ნაიკითხეთ და შეიგნეთ, რომ მაგ საკამებზე დღეს ხართ და ხვალ უკვე აღარ იქნებით! ამიტომ, წასვლის წინ, ერთხელ მაინც გააკეთეთ საქართველოსათვის სასიკეთო საქმე და აამუშავეთ წლების მანძილზე გაყინული, საქართველოს ამლორძინებული პროექტი ბატონ პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით და სასწრაფოდ მოინვიეთ საქართველოში ეს ღვთიერკურობითი, პატივცემული ადამიანი, ბატონი ლეონარდო დილონ კაიჯუკა! შეაფურთხეთ ეშპას და გახდით ერის კაცები! შეიგნეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ამერიკის ელჩი არ არის საქართველოს ბატონ-პატრონი, საქართველოს ბატონ-პატრონი არის მხოლოდ ხალხი!!! ამით თქვენ შეხვალთ საქართველოს ამლორძინებულთა ისტორიულ სიაში!

ვისაც ყური გასხიათ, ისმინეთ და შეისმინეთ!!!

მხოლოდ უფლის იმედად დაშთენილი, ორი დაღუპული მებრძოლის მამა ანზორ დანელი, 2016 წელი



ქუჯი

1928 წელს საქართველოს ენციკლოპედია (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისია პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით, შემოიარა საქართველო, მათ შორის ზუგდიდის მაზრა და თავისი მოსაზრებები წარუდგინა როგორც მოსკოვს, ისე თბილისს.

იმავე წლის 25 სექტემბერს საქ. კ (ბ) ცკ-ის IV პლენუმზე, სადაც პრეზიდიუმის მოხსენება მოისმინეს, გაჟღერდა მოსაზრება სამეგრელოში მეგრულ ენაზე ბროშურების გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

პლენუმზე გამოიკვეთა ორი მიმართულება:

I. „მართალია ჩვენთან იყო ერთი რეაქციული მიმდინარეობა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. ეს არის ის, რომ სამეგრელოს თვლიდნენ სრულიად დამოუკიდებელ ნაციად საქართველოსგან... ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ იმის წინააღმდეგ, რომ მეგრულ გლეხს მივცეთ რაიმე მეგრულ ენაზე, ამის წინააღმდეგ“

II. თუ თქვენ დღეს გამოცემით ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ გაიხსნება ცხრანლედი, ხოლო შემდეგ შექმნიან ავტონომიურ რესპუბლიკას“ (კობახიძე).

აქ პატარა „გადახვევა“. პრეზიდიუმის კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ახერბაიჯანელმა სეთი კადროვმა მოგვიანებით (1929 წელს) სკკპ (ბ) ცკ-ის სახელზე დაწერა წერილი, რომელშიც ამ კომისიის მიერ საქართველოში ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით პირადი შეხედულებები ჩამოაყალიბა. კადროვი თავის ვრცელ წერილში ცდილობს დაასაბუთოს, რომ არსებობს საქართველოს დიქტატი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, მათი პრობლემებისადმი.

კადროვი სამეგრელოსაც ეხება და აღნიშნავს, ზუგდიდში მოგვიწვევს 300-კაციანი შეხვედრა, სადაც ვკითხრეს, რომ „მეგრელებს არა აქვთ რესპუბლიკა... საქართველო ენევა სამეგრელოს მოსახლეობის თვითმყოფადობის, სახის და კარგვის პოლიტიკას მისი ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებად დაყოფის, ცალკეულ რესპუბლიკებში, მაზრებში გადანაწილების გზით...“

ამ შეხვედრაზე მისთვის თურმე ვილაცხა ისიც კი უთქვამს, „ჩვენ დავხოცავთ მთელ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკას მიჰყიდა მეგრული გლეხების ინტერესები“.

ეს შეიძლება მთლიანად ინსინუაცია იყოს, მაგრამ არც იმას გამოორიცხავს, რომ კომისიას ან კადროვს ვინმემ მართლაც რაღაც ინფორმაცია მიაწოდა, რაზეც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის მთელი მუშაობა მიუთითებს 1930-1933 წლებში...

კადროვის წერილმა ქართველ კომუნისტებში დიდი აურზაური გამოიწვია. ამ წერილის შემდეგ აშკარად ალაპარაკდნენ „საქართველოში დიდმეგრულ-ბელარუსული შოვინიზმის ელემენტების“ შესახებ (სწორედ ამის გამოძახილი გახლავთ აკადემიკოს ანდრია სახაროვი-სეული „საქართველოს მცირე იმპერიის“ თეორია). განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს 20-იანი წლების მიწურულის პარტიულ ფორუმებსა და შეკრებებზე.

სამეგრელოში ავტონომიისთვის ბრძოლის ახალი ტალღა 1929 წლის 31 მარტს დაიწყო, როცა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პლენუმზე ი. ჟვანიამ თავის მოხსენებაში მეტად შეფარვით დააყენა საკითხი დასავლეთ საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამოიჯვრის ახალი პრინციპების შესახებ.

პლენუმმა მეორე საკითხიც განიხილა – „მეგრული ენის შესახებ“. ძირითადი მომხსენებელი იყვნენ ი. ჟვანია იყო. მან განმარტა თუ რატომ დააყენა ზუგდიდის პარტიორგანიზაციამ ცეკას წინაშე მეგრული ენის საკითხი: „იმიტომ, რომ ყველა ის გლეხებისათვის ელემენტარული საკითხები მათთვის გაგვეშუქებინა, გავაგებინოთ მშრომელ გლეხობას

და ჩვენი ფუძე არის ქართული კილოვა... მათ უნდათ დაიწყონ ენით და შემდეგ ავტონომია მოითხოვონ“.

საქართველოს პრეზიდენტის არქივში აღმოჩნდა ი. ჟვანიას მოსკოვში მოგვიანებით გაგზავნილი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ 1929 წელს სოჭში სტალინს შეხვდა და საუბრისას სამი კითხვა დააყენა: სამეგრელოს ოლქის ან საოლქო აღმასკომის შექმნა; მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა საგლეხო ლიტერატურის გამოცემა და სკოლის პირველ საფეხურზე სამეგრელოს რაიონებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება.

ი. ჟვანია წერილში ამტკიცებს, სტალინმა ყველა საკითხზე დადებითი პასუხი მომცაო. ოღონდ, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სტალინი ი. ჟვანიას მხოლოდ საკითხის შესწავლას და პრობლემაში გარკვევას დაჰპირდა. ამაზე მიგვანიშნებს საქ. კ (ბ) ცკ-ის მთელი შემდგომი საქმიანობა საკითხის მოსაწესრიგებლად.

აქვე სათქმელად: საქართველოს უახლესი ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ციციშვილმა გამაცნო ი. სტალინის ჯერ კიდევ 1925 წელს თბი-

სამეგრელოს ოლქის შექმნას ან საოლქო აღმასკომის დაშვებას, გაზეთებისა და ჟურნალების მეგრულ ენაზე გამოშვებას, სკოლის პირველ საფეხურზე მეგრულ ენაზე სწავლების ნებართვას.

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, მოთმინების ფილა საბოლოოდ აევსო და 1933 წლის 14 თებერვალს ი. ჟვანია დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა.

ამის შემდეგ (1933 წლის აპრილში) ზუგდიდში დაიწერა დოკუმენტი ი. სტალინის, მ. კალინინის, ვ. მოლოტოვის სახელზე, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი მოლაღატურს უწოდებს: „მეგრელები ჯერ კიდევ არ ასიმილირებულან ქართველებთან და დიდხანს კიდევ არ ასიმილირდებიან, რადგანაც ქართული ენა თავმოხვეულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად ჯერ თავადაზნაურობისა და სამღვეფლოების მიერ, შემდეგ მენშევიკებისა და ახლა ზოგიერთი გავლენიანი კომუნისტის მიერ... ასიმილაცია აუცილებელი არ არის, რადგან ქართული ენა მონოპოლური კარი არ არის, რომელიც მაღალი კულტურისკენ წაიყვანს ამიერკავკასიის ხალხებს. განა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და სხვებს ხელი ეშლებათ მაღალ კულტურასთან ზიარებაში, თუკი ქართველებთან არ ასიმილირდებიან?“ ამის შემდეგ ავტორები აყალიბებენ ნაცნობ მოთხოვნებს.

ვინ და რატომ ებრძვის „ჩქინობურას“

მშობლიურ ენაზე ის, რის გაგებასაც მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები“.

პლენუმზე ი. ჟვანიამ უდიერად მოიხსენია თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები, რომლებმაც 1925 წელს პროტესტი გამოთქვეს ზოგიერთის ცდის გამო, ბარიერი აღემაართათ მეგრულ ენაზე და დანარჩენ საქართველოს შორის და ქართული ეკლესია, რომელიც თავის დროზე წინ აღუდგა ცარიზმის მიერ ეკლესიაში მეგრულ ენაზე წირვის შემოღებას...

სიტყვის დასასრულ მან ჩამოაყალიბა მოთხოვნები, რომლებიც „უნდა გაითვალისწინოს თბილისმა სამეგრელოსთან დამოკიდებულებაში“:

- 1. სოფლის და თემის საბჭოებს საქმის წარმოება მეგრულ ენაზე; 2. მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მეგრულ ენაზე გამოცემა; 3. გამოიცეს გაზეთი მეგრულ ენაზე; 4. მოხდეს წერაკითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია მოზარდ მოსახლეობაში მეგრულ ენაზე.

1929 წლის ივლისში საქართველოს კ (ბ) VI ყრილობაზე მაფალუელებმა ძირითადი ყურადღება მეგრული ენის უფლებების დაცვის საკითხებზე გადაიტანეს. ამ ეტაპზე სამეგრელოს ოლქის, სამეგრელოს ავტონომიის საკითხი ჩრდილში მოაქციეს.

მაფალუელების პოზიცია ყრილობაზე სასტიკად გააკრიტიკა შამშე ლეჟავამ: „ჩვენ სუყველა ქართველები ვართ

ლისში გამოგზავნილი დებუმა, სადაც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგია.“

1929 წლის ოქტომბერში საქ. კ (ბ) ცკ-ის სამდივნომ გადაწყვეტილება მიიღო მეგრულ ენაზე გაზეთებისა და ბროშურების გამოცემისათვის საჭირო ლიტერატურის შესახებ.

ზუგდიდში დროს არ კარგავდნენ: შეუდგნენ საქმის წარმოების გადაწყვეტას მეგრულ ენაზე, აქტიური მუშაობა დაიწყო მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემაზე. პარალელურად გალის რაიონშიც მზადდებოდა „ყაზაყიში გაზეთის“ გამოცემა.

მაგრამ მოულოდნელად ი. ჟვანიასა და მის ჯგუფს ზუგდიდში სერიოზული ოპოზიცია გამოუჩნდა – სამაზრო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბიუროს წევრი ბოკუჩავა და მაზრის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე პერტახია დაუპირისპირდნენ. ისინი ი. ჟვანიას მაფალუელების წახალისებაში დებდნენ ბრალს, მაფალუელები აგიტაციას ეწევიან სოფლებში ოლქის შექმნის სასარგებლოდ და გლეხობას უმტკიცებენ, ოლქის წინააღმდეგ ქმედება ნიშნავს უარყო სკოლების, საავადმყოფოების შენებაო.

დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. რაც დრო გადიოდა, ბრძოლის ლო-



ფარნავაზი

ფარნავაზისა და ქუჯის ქმედება მიუთითებს, თუ რა ძლიერი იყო იმ უბველეს დროსვე, ქრისტესობამდე ასწლეულებით აღრე, ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის გრძნობა და ქართული ფუძე-ენის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ქართველურ გომებს როგორ ჰქონდათ შენარჩუნებული ეთნიკური ერთიანობის სიმძაფრე, ფარნავაზთან ერთად ქუჯის სიბრძნე და დიდი კაცობა რომ არა, ქართველთა ერთიანობის იდეა, ალბათ, დაიგვიანებდა. რომ არა გიორგი ჭყონდიდელისა და ცოგნე დადიანის მნეობრივი გმრობა, რომ არა დუგუ მეგრელის უზარმაზარი პაწია ლექსი: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“, ძნელი სათქმელია, რანი ვიქნებოდით დღეს!

აფხაზეთის მოსახლეობისთვის მოსავლის საქართველოში გატანა უფრო ხელსაყრელია

აფხაზეთში თხილის ლეგალური ექსპორტი დაიწყო, რომლის რეალიზაცია ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. დიდი ხნის განმავლობაში თხილის გატანაზე არძალავე მოქმედებდა. 2015 წლის 21 აგვისტოდან ექსპორტი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ კონტრაბანდის სახით არსებობდა, ლეგალიზდა. იმაზე, რა მოცულობით გადის თხილი და რა შედეგს ამ გზით ადგილობრივი ბიუჯეტში, ოკუპირებული რესპუბლიკის დე ფაქტო სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილემ უშანგი კვიციანი იხაზა.

2007 წელს, კოდორის ხეობის ცნობილი მოვლენების შემდეგ გაჩნდა დე ფაქტო პრეზიდენტის განკარგულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიიდან აფხაზეთში და უკან საქონლის გადაადგილება აიკრძალა. 2013 წელს დე ფაქტო ექსპრეზიდენტმა ანტონა აკრძალა შეარბილა და გამონაკლისი დაუშვა საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე ჰუმანიტარული ტვირთების გატანისთვის, ასევე ტვირთებისთვის, რომელიც ენგურჰისის საჭიროებისთვის იყო გამოწვეული და რიგითი მოქალაქეების მიერ საკუთარი საჭიროებისთვის ხელბარგის გატანაზე.

გატანისთვის დაშვებული საქონლის ნუსხაში თხილი არ ფიგურირებდა, ამდენად თითქმის მთელი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში მისი ექსპორტი უკანონოდ ითვლებოდა, ხოლო დე ფაქტო სახელმწიფო ბიუჯეტში მისგან არანაირ შემოსავალს არ იღებდა.

რეალურად მოსახლეობას თხილის მოსავალი არალეგალურად გაჰქონდა, საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე არსებული კორუფციული და კრიმინალური სქემების მეშვეობით. ეს – მაშინ, როცა თხილი აფხაზეთში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ რაიონებში მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

2015 წლის აგვისტოში დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ მოქმედ განკარგულებაში ცვლილებები შე-

იტანა და მოხსნა მრავალწლიანი აკრძალვა აფხაზეთში თხილის ექსპორტზე. პრაქტიკულად მაშინვე გამოიკა და ფაქტო მინისტრთა კაბინეტის განკარგულება თხილის ექსპორტზე საბაჟო გადასახადის შემოღების თაობაზე, რომლის ოდენობა 1 კგ გარჩეულ თხილზე 35 რუბლით და გაურჩეველზე 25 რუბლით განისაზღვრა. მაშინ ბევრი აკრიტიკებდა აფხაზურ ხელისუფლებას ესოდენ მაღალი გადასახადის გამო, თუმცა მისი ოდენობა უკავშირდებოდა იმას, რომ სამი წლის წინათ თხილის ფასი მაღალი იყო და კა-ში 300 რუბლზე მეტს შეადგენდა. ეს, თავის მხრივ, იმით იყო განპირობებული, რომ საგარეო ბაზრებზე თხილისა და კაკლის ტრადიციულ ექსპორტიორ ქვეყნებში მკვეთრ შემოღობის გამო ცუდი მოსავალი აღიქვა. შემდეგ ფასი ერთბაშად დაეცა და ამ ოდენობის საბაჟო გადასახადის პირობებში აფხაზეთიდან თხილის გატანა არამომგებიანი გახდა.

უშანგი კვიციანი ყვება: „ამჟამად ფიქსირებული გადასახადი 10 რუბლამდე შემცირებული. ამის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტირებული თხილის მოცულობები, რამაც ჯამში გადასახადების ამოღებაც გაზარდა. ჯერჯერობით გასული წლის მოსავლის 75-80% და ამ წლის მოსავლის 20-25% ექსპორტირდება. თუ, ვთქვათ, ივნისში სულ 43 ტონა გადიოდა, უკვე ივლისში ეს ციფერი 220 ტონამდე გაიზარდა, ხოლო აგვისტოში საერთოდ რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა – 785 ტონა. ეს – გალის რაიონში მოქმედი გამშვები პუნქტების გავლით. ფსოუს სასაზღვრო პუნქტზეც მოცულობები საგრძობად გაიზარდა: თუ ივნისში ექსპორტზე სულ რაღაც 7 ტონამდე გაიზარდა, ხოლო აგვისტოში – 120 ტონამდე“.

თხილის სეზონი აფხაზეთში ჩვეულებრივ აგვისტოში იწყება. უშანგი კვიციანს თქმით, 2015 წელს სეზონის განმავლობაში გალის რაიონის საბაჟო პუნქტების გავლით გატანილი იქნა 875 ტონა თხილი, ხოლო ფსოუს პუნქტის გავლით – სულ 82:



„რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გავლით თხილის ექსპორტი იმის გამო დაეცა, რომ აფხაზეთიდან გატანილ საქონელს რუსული მხარე დღგ-ით ზეგრავს და გადასახადები გაცილებით მაღალია. ამჟამად დასაბეგრი ბაზა 175 რუბლიდან ითვლება. გალის რაიონის შიდა ბაზარზე 1 კგ თხილი 120 რუბლს შეადგენს, ზუგდიდის რაიონის შესასყიდ ბაზრებზე მას 150-160 რუბლად იზარებენ, ამდენად, მოსახლეობისთვის თხილის საქართველოში გატანა უფრო ხელსაყრელია“.

კვიციანი შედეგები შეაჯამა: „2015 წლის 1 სექტემბრიდან, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულების ძალაში შესვლის მომენტიდან ექსპორტირებული თხილის კუთხით ბიუჯეტში 50 მლნ 550 ათასი რუბლი შევიდა. მანამდე საბაჟო გადასახადების სახით კაპიტიც არ შემოდიოდა, რადგან არ იყო საექსპორტო მოსაკრებელი და გადასახადი საბაჟო გაფორმებისთვის“.

გამოდის, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აფხაზეთიდან სეზონზე დაახლოებით 2 ათასი ტონა თხილი გადის. თუმცა ოფიციალურ პირთა განცხადებით, აფხაზეთში ყოველწლიურად 10-დან 15-მდე ტონა თხილს კრეფენ. რამდენად შეესაბამება რეალობას ეს შეფასება, საბაჟოში ვერ აზუსტებენ. მეტაწეები მხოლოდ იმ თხილს ხედავენ, რომელიც ოფიციალურად გადის საბაჟო პუნქტების გავლით.

უშანგი კვიციანს აზრით, თხილის პლანტაციების ინვეტირაციის მიზნით სკრუპულური სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

საქართველოში სოკოვანი ახალი ჯიშები შეიქმნა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან არსებული ლოგისტიკური კომპანია სოკოვანი ჯიშების გამოცდის საქართველოს ექვს რეგიონში ახორციელებს. როგორც ლოგისტიკის კომპანიის დირექტორი გიორგი დუღინაშვილი აცხადებს, სამცხე-ჯავახეთში უკვე გამოსცადეს უნიკალური ჯიშის სორბალი – აფინა, რომელმაც საუკეთესო შედეგები აჩვენა.

სორბალი გვჭირდება ჩვენი მოსახლეობის გამოცდებში. წელს სორბალი დაიბეჭდა №12 ათასი ჰექტარზე და დაახლოებით 270 ათასი ტონა მოსავალი მივიღეთ. სამი წლის განმავლობაში ეს ძალიან კარგი შედეგია“.

„ძირითადად გვალვაგამძლე ჯიშები შემოვტანეთ და საქართველოს იმ კუთხეებში ვავრცელებთ, სადაც სარწყავი სისტემები არ მუშაობს. საშემოდგომო სორბალის ნათესავი ფერმერებს სწორედ უზიანდებათ. სწორედ ამიტომ შემოვიტანეთ ორთესელა, ელიტური ჯიშის სორბალი ლუკიანგოს ინსტიტუტიდან – ეს არის ერთ-ერთი წამყვანი სასელექციო ინსტიტუტი რუსეთის მასშტაბით. უნიკალური იმით, რომ ფერმერს შეიძლება საშემოდგომო ჯიშის დაუზიანდეს, მაგრამ მასთან ერთად დათესოს ეს სორბალი და თავისი მოსავალი გადაარჩინოს“.



ლოგისტიკის კომპანიის ხელმძღვანელის თქმით, აფინა უნიკალური თვისებებით გამოირჩევა – სამ თვეში ეწევა საშემოდგომო სორბალს და მაღალ მოსავალსაც იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ მან უნიკალური შედეგი მოგვცა. „საქართველოში ბოლო წლებში ჩვენ ასეთი ხარისხის სორბალი აღარ მიგვიღია. აფინას საშუალო მოსავლიანობა 5-6 ტონამდე ადის, ამიტომ უკვე დავიწყებთ მისი გავრცელება მთელ სამცხე-ჯავახეთში, სადაც ის ძალიან კარგად ხარობს“, – ამბობს გიორგი დუღინაშვილი. მისი შეფასებით, თუ ხელს არაფერი შეუშლის და ეს პროექტი გაგრძელდება, საქართველო შეძლებს თავისი მოსახლეობის მოთხოვნილება სორბალზე 70-80 პროცენტით მაინც დააკმაყოფილოს.

ჯერაც მიულეველი, მაგრამ საოცნებოდ გამხდარი დაუქლეველი ზღვარი

ბაჭირაშვილებსა და დალხენილ ცხოვრებაზე, ღალატა და მეტ-ნაკლებად შეძლებულთა შორის ზღვრის გავლების პრინციპებზე კამათი, დარბილებისა და მდიდრების თანაფარდობასა და ურთიერთობებზე მსჯელობა, დღენიადავ ტელე და რადიოეთერებით გაისმის, აუარება ჟურნალ-გაზეთებში ინტერესებს. თუმცა კი მაყურებელთა თუ მკითხველთა ინტენსიური გამომხატურება საპირისპიროს მოწოდებს, რის მიზეზით, როგორც ჩანს, მაინც ის არის, რომ როგორც გენბაზე ამბობს თხილის სეზონი (32,2 პროცენტი) (გასაგებ მიზეზთა გამო, შარშანდელი მონაცემები კვლევაში ასახული არ არის – რეა). მსოფლიო ბანკის ექსპერტები

გაგვიხსენებთ, რომლის მთავარი დასკვნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი ბოლო ოთხი წლის მანძილზე განუხრელად მცირდება. კონკრეტულად კი ბოლო წლების მანძილზე საქართველოში სიღარიბის დონის დინამიკა ასეთია: 2011 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა 2 მილიონი კაცი (მთელი მოსახლეობის 44,8 პროცენტი); 2012 წელს ეს მაჩვენებელი, შესაბამისად იყო 1,9 მილიონი კაცი (42,5 პროცენტი); 2013 წელს – 1,6 მილიონი კაცი (36 პროცენტი) და 2014 წელს – 1,4 მილიონი კაცი (32,2 პროცენტი) (გასაგებ მიზეზთა გამო, შარშანდელი მონაცემები კვლევაში ასახული არ არის – რეა).

ბოლო წლებში სიღარიბის დონის კლება ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მეტი წვდომა, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და გონივრული ფისკალური პოლიტიკაა

ეს პრობლემა, რასაკვირველია, ყველა, მათ შორის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული, ამდენად, სოციალურად სხვაზე უკეთ უზრუნველყოფილი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე დგას, თუმცა განსაკუთრებულად აქტუალური იგი ფინანსური თვალსაზრისით ნაკლებად ძლიერ სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვისაა. მათ შორის, ცხადია, ჩვენიც, უწინარესად, საქართველოში სადღესოდ არსებული მდგომარეობა და მისი საექსპერტო შეფასებები საინტერესოა.

ამ მხრივ ერთობ საყურადღებოა მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის „საქართველოში სიღარიბის შემცირების ბოლო ტენდენციები“ შე-

დეგები, რომლის მთავარი დასკვნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი ბოლო ოთხი წლის მანძილზე განუხრელად მცირდება. კონკრეტულად კი ბოლო წლების მანძილზე საქართველოში სიღარიბის დონის დინამიკა ასეთია: 2011 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა 2 მილიონი კაცი (მთელი მოსახლეობის 44,8 პროცენტი); 2012 წელს ეს მაჩვენებელი, შესაბამისად იყო 1,9 მილიონი კაცი (42,5 პროცენტი); 2013 წელს – 1,6 მილიონი კაცი (36 პროცენტი) და 2014 წელს – 1,4 მილიონი კაცი (32,2 პროცენტი) (გასაგებ მიზეზთა გამო, შარშანდელი მონაცემები კვლევაში ასახული არ არის – რეა).

კის გატარებით ხსნიან. თანაც, ტენდენციის მდგრადობის გათვალისწინებით, პროგნოზსაც გამოთქვამენ, რომ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება კვლავაც გაცილებად გაისად, წლის მიწურულისთვის, ის კიდევ დაახლოებით 6,8 პროცენტით მოიკლებს და 25,5 პროცენტამდე ჩამოვა.

საგულისხმოა, რომ სიღარიბის მაჩვენებლის კლებაზე, როგორც მსოფლიო ბანკის ექსპერტების, ასევე ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს სპეციალისტების შეფასებით, დადებითად მოქმედებს როგორც მოსახლეობის პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შემოსავლის ზრდა. კერძოდ, 2010 წელთან შედარებით 2014 წელს ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 8 პროცენტით გაიზარდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მსყიდველუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით დათვლილმა სიღარიბის მაჩვენებელმა დაიკლო როგორც თბილისში (დაახლოებით 17,2 პროცენტამდე) სადაც, არსებითად, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ცხოვრობს, ასევე სხვა დიდ ქალაქებსა და სოფლებს (შესაბამისად 25,4 და 42,8 პროცენტამდე).

ამჟამად, როცა წინასაარჩევნოდ უკლებლივ ყველა პოლიტიკური ძალა, მათი პიროვნული წარმომადგენელი მრავალგული ნაკარნახევ თუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ამომრჩევლს მარტივ პოპულისტურ რამეს, ანუ „საქცუა-რას“ ჰპირდებოდა, ნუ დაივიწყებს, რომ სიღარიბის დონის დადგენა არა ქალაქის ფარგლის ფურცლებით, არამედ საკუთარი ბიუჯეტით უნდა ხდებოდეს.

ოთარ ტურაბალიძე

ჭადრაკი

სომერიკი ლიდერს მიუახლოვდა

61 ქვეყნის 400-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს ხანტი-მანსისკში მიმდინარე 14, 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაში...



ნინო სომერიკი

18-წლამდელები

ტური. ჰონორი აუვრეი (საფრანგეთი) - ნინო სომერიკი 0:1, ტიმოში ბანდერა (შრი-ლანკა) - ნატა ჯიბუტი 0:1, მერსად ხოდაშენასი (ირანი)-ირაკლი ახვლედიანი 0:1; III ტური. ხომერიკი - არინა მარჯინა (რუსეთი) 1:0, დონიკა შივარცვა (ბულგარეთი) - ჯიბუტი 1:0, არიელ ეფენბერგი (ისრაელი) - ახვლედიანი 0:1; IV ტური. ჟოზეფინ ჰეინემანი (გერმანია) - ხომერიკი 0:1, ჯიბუტი - სიმონა სურმოლოვა (ჩეხეთი) 0.5:0.5, ახვლედიანი - როვენ ფოგელი (გერმანია) 0.5:0.5; V ტური. ხომერიკი - ალექსანდრა ობოლენცევა (რუსეთი) 0.5:0.5, ნელუნკა მეთმანი (შრი-ლანკა) - ჯიბუტი 1:0, ჟანატ საინი (ყაზახეთი) - ახვლედიანი 1:0.

სუთი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: ხომერიკი - 4, ობოლაცევა - 3, ახვლედიანი, ბეჭვია - 2,5-2.5, კოსტა - 2, ხოდაშენელი, ჯიბუტი - 1.5-1.5 ქულა.

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს მე-8 ტურის პარტიები გაიმართება.

გივი გაგუა

საფეხბურთო მოზაიკა

უფას პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის მიზიდვის საპროექტი

სპალ თბილისს ოფიციალური ვიზიტით უფას პრეზიდენტი ალექსანდერ ჩეფერინი და გენერალური მენეჯერი თეოდორ თეოდორისი ესტუმრებიან საქართველო პირველი ქვეყანა, რომელსაც სლოვენელი თავკაცი უფას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია უფას პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის სტუმრობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც სფფ-ის პრეზიდენტთან და გენერალურ მენეჯერთან სამუშაო შეხვედრა გაიმართება. ასევე მოეწევა ოფიციალური შეხვედრები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდერ ჩეფერინი უფას პრეზიდენტად 2016 წლის 14 სექტემბერს აირჩიეს. ათენში გამართულ არჩევნებზე საქართველოს ფეხ-



ბურთის ფედერაციას პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი წარმოადგენდა და მან მხარი ალექსანდერ ჩეფერინის კანდიდატურას დაუჭირა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი პოზიცია არჩევნებზე ჩეფერინის კანდიდატურის მხარდაჭერასთან დაკავშირებით არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დააფიქსირა.

კორუფციული სანდალი ინგლისში



ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი სანდალში გახვია. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია 61 წლის სპეციალისტის კორუფციაში გამოჭერის საქმეს იძიებს. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემები ავრცელებენ.

ყველაფერი კი The Telegraph-ის ჟურნალისტი უილიამ ბრინტონით დაიწყო, რომლის მიზანიც ბრიტანულ ფეხბურთში

მექრთამეობის ფაქტებზე მტკიცებულეების მოპოვებაა. გამოცემის ჟურნალისტები მწვრთნელს ბიზნესმენებად გაცნენ და აუხსნეს, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში ტრანსფერებიდან სარგებლის მიღებით იყვნენ დაინტერესებულნი. მხარეებს შორის გამართული ორი შეხვედრის შემდეგ ელერდაისისგან თანხმობა მიიღეს, რომ ის 400 ათასი გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ თავისი მდგომარეობის გამოყენებით მათ დაეხმარებოდა და კონსულტაციას გაუწევდა სატრანსფერო საკითხების წესების გვერდის ავლით მოგვარებაში. ჟურნალისტებთან საუბრისას ელერდაისმა ინგლისის ნაკრებში მისი წინამორბედი როი ჰოჯსონიც გააკრიტიკა და საფეხბურთო ასოციაციაც გარკვეული გადაწყვეტილებების გამო აუგად მოიხსენია. როგორც Sky Sports-ი იტყობინება, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ The Telegraph-ის ჟურნალისტებისგან ამ საქმის მასალები უკვე გამოითხოვა და ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს.

ბუნდესლიგური პროტესტი „რედ ბულს“ მიმართ ბრძოლა

ინგლის პროტესტი, ისევე „ლაიფციგის“ წინააღმდეგ - გერმანიის ბუნდესლიგის ასაღწევად ლაიფციგის „რედ ბულს“ სტუმრად მატჩების ჩატარება პროტესტის ფონზე უნევეს. კვირას „კიოლნიან“ (1:1) საგარეო შეხვედრა 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რადგან მასპინძელთა ასამდე ქომაგი იმ ადგილზე იმყოფებოდა, სადაც „რედ ბულს“ ფეხბურთელებს უნდა გაეცვლიათ სტადიონზე შესასვლელად და მათ იქ მოსვლას აპროტესტებდნენ. სიტუაცია მხოლოდ პოლიციის ჩარევის შედეგად დასტაბილურდა.

„კიოლნის“ ქომაგებს ხელთ სხვადასხვა შინაარსის ბანერები ეყრათ:



მკლავისა და მუხლის ძალა

ნადავლის ამას ჰქვია!



სსლზბნ ფინეთის ქალაქმა სეინაიოკმა ვეტერანებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ტიპისაში, სადაც ჩვენმა ნაკრებმა 6 მედალი მოიხვეჭა.

მსოფლიო ჩემპიონი ზურაბ ნიქარიძე (97) გახდა, ხოლო ბრინჯაოს მედალები მალხაზ გოგოლაძემ (63), ბადრი ანთაძემ (85), გელა გელაძემ (76), ესტატე გოგლიჩიძემ (130) და თამაზ გოგელიამ (130) დაიმსახურეს.

ზურაბ ნიქარიძემ (97), რომელიც A - 40 წლამდე დივიზიონში ასპარეზობდა, საჩემპიონო გზაზე სამი მეტოქე დაამარცხა: თავდაპირველად შვედ მატიას კვენსონს 23 წამში 8-0 სძლია, ნახევარფინალში გერმანელ ბიორნ ჰოლკს 5-1 მოუგო, ხოლო ფინალში შვედი ომიდ მოსაივი 3-1 დაამარცხა.

შეჯიბრების პირველ დღეს C - 50 წლამდე დივიზიონში ბრინჯაოს მედალი მალხაზ გოგოლაძემ (63) მოიპოვა, მეორე დღეს კი მეორე ბრინჯაოს მედალი B - 45 წლამდე დივიზიონში ბადრი ანთაძემ (85) ირგუნა. ქართველმა ფალავანმა გადამწყვეტ შეხვედრაში შვედი მატიას პარტივიტი 41 წამში გააკრა ხალიჩას.

ჩემპიონატის ბოლო დღეს ერთბაშად ოთხი მედალი გვხვდა - ნიქარიძის ოქროსთან ერთად კიდევ სამი ბრინჯაოს მედალი შევმატეთ საერთო მონაგარს. გელა გელაძემ (76) A - 40 წლამდე დივიზიონში გადამწყვეტ შეხვედრაში ბულარუსი ვიქტორ კრეტაუ ნუთსა და 9 წამში წმინდად დაამარცხა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

მედლისათვის შეხვედრაში A - 40 წლამდე დივიზიონში გოგელიამ შვედი იოჰან ჰეიმბრანდი 4-0 დაამარცხა.

G - 70 წლამდე დივიზიონში შარშანდელი ტრიუმფალური გამარჯვების გამოვრება ვერ შეძლო ჩვენმა მძიმეწონოსანმა ესტატე გოგლიჩიძემ და ამჯერად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

კობა კობახიძე

ლეგიონერი


სტივ კერი: „ფაჩულის დაბრუნება ისევე გამისარდა, როგორც ღურანტის“

„გოლდენ სტივტი უორიორზის“ მთავარმა მწვრთნელმა სტივ კერმა ზაზა ფაჩულის შესახებ ისაუბრა და საქართველოს ნაკრების კაპიტანი შეაქო.

„ზაზა ფაჩულის დაბრუნება ისევე გამისარდა, როგორც კევინ დურანტის. ლიგაში ძლიერი ცენტრი უნდა გყავდეს, რომელიც აქამდე ჩვენ არ გყავდა. ზაზამ ზუსტად იცის, როგორ უნდა ითამაშოს და ის ჩვენს სტილს ესადაგება“ - განაცხადა კერი.

შეგახსენებთ, რომ ფაჩულია „გოლდენ სტივტი“ ზაფხულში „დალასიდან“ გადავიდა და კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაშიც ცენტრი 2.9 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

ვიტალი ჯაფარიძე



„ფული კლავს“, „ნადი შენი, ლაიფციგ“ და სხვა. ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც ლაიფციგის გუნდს გერმანიაში ცუდად ხვდებიან, ამის მიზეზი კი კლუბის „რედ ბულს“ პატრონაჟის ქვეშ ყოფნაა - გერმანელები პატივს მეტწილად ტრადიციებს, ისტორიასა და გრძობებს სცემენ. აქამდე „რედ ბულს“ ჰამბურგშიც პროტესტის ფონზე დახვდნენ, ხოლო დრეზდენში, სათასო მატჩისას, მასპინძელთა ქომაგებმა სიმბოლურად ხარს თავი მოკვეთეს... ზემოთ ჩამოთვლილი გუნდების გულშემატკივრებს არც დორტმუნდის „ბორუსიას“ ულტრასები ჩამორჩენილან.

ამასობაში კი „კიოლნის“ ხელმძღვანელებმა განცხადება გაავრცელეს მომხდარ ფაქტზე, რომელშიც ვკითხულობთ: „იდიოტების აქცია - ჩვენ ახლა მხოლოდ ბოდიშის მოხდა შეგვიძლია“...

ერთადერთი გამონაკლისი ზინსჰეიმში მოხდა, როცა „რედ ბულს“ „ჰოფენჰაიმის“ ქომაგები სოლიდარული ტრანსპარანტებით დახვდნენ.

გიორგი შოთაძე

დალით ქართული ღვინო. უსხოლო ჟურნალისტებო!

ღვინოს მაგისტრის, დებრა მეიბურგის ხელმძღვანელობით ღვინოს თემაზე მომუშავე ჟურნალისტების ჯგუფი (იტალია, ავსტრალია, აშშ, პორტუგალია, ჩინეთი) ერთვინიანი ღვინოს მედია-ტურით საქართველოში ესტუმრა.



სახებაც შემდგომში დაწერენ, - აღნიშნა გიორგი სამანისვილი.

ღვინოს ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მედია-ტურის მონაწილეებს კახეთში, ერთ-ერთ ღვინოს კომპანიაში სტუმრობის დროს შეხვდა. „საქართველოში ჩამოსულია დებრა მეიბურგი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღვინოს მაგისტრი, რომელიც განსაკუთრებით ჩინეთზე მუშაობს.

დებრა მეიბურგის შეფასებით, საქართველო გამოჩნევა ადგილობრივი ბუნებრივი ღვინოების მრავალფეროვნებით. „ჩვენი ჟურნალისტების ჯგუფი აქ იმისთვის შეიკრიბა, რომ გაიცნოს ქართული ღვინო. საინტერესო ისაა, რომ ამ ჯგუფიდან ზოგიერთი ღვინოს სპეციალისტია, ზოგიერთი კი ისეთი ჟურნალისტი, რომელიც ღვინოს არც ისე კარგად იცნობს, რადგანაც ჩვენ გვინდოდა წარგვედგინა ქართული ღვინო ისეთი ადამიანებისთვისაც, რომლებსაც არა აქვთ გამოცდილება ამ სფეროში.

„ვეფხისტყაოსნის“ კომპიუტერული თამაში




მოსწავლეებმა შესაძლოა, მალე „ვეფხისტყაოსანი“ კომპიუტერული თამაშის სახით ისწავლონ. განათლების სამინისტროს სასწავლო პროგრამაში სიახლეებს გეგმავენ. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას სურვილი აქვს, საგნებზე მორგებული კომპიუტერული თამაშები შეიქმნას.

„კომპიუტერები სკოლებში წელსაც დავარიგეთ. ჩვენ უკვე დავიწყეთ, ფაქტობრივად ყველა ტექნოლოგიურ კომპანიას ვხვდებით და გვინდა კონტენტის მუდმივმოქმედი წარმოება გავაკეთოთ, ოღონდ, არა ჩვენი დაკვეთით, არამედ აქაც გავხსნათ ბაზარი და ვთქვათ, რომ ჩვენ ვაპირებთ ფული ვუხადოთ კომპანიებს, რომლებიც ისეთ საიტებს, თამაშებს გამოიგონებენ, რომლებიც ბავშვებს გამოადგებათ. მაგალითად, ჩვენ ვაპირებთ, „ვეფხისტყაოსნის“ კომპიუტერული თამაში გაჩნდეს, მართლა ვაპირებ. თუ კომპიუტერული თამაში მიესადაგება ქიმიას, იქაც მინდა გაჩნდეს. ისტორიას ვიცით, რომ ნამდვილად მიესადაგება. ყველა საგანში მინდა გაჩნდეს კომპიუტერული თამაშები. ზოგი თამაში პოპულარული გახდება, ზოგი, მაგარი ბანძი იქნება და არაფერ ითამაშებს, ჩვენი ჭირიც ნაუღია, ანუ ბევრი უნდა იყოს“, - განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„შველი წყლის პირას“ ეროვნულ მუზეუმში

გზუნი 2016 წლის 27 სექტემბერს 18:00 საათზე დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიმართა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათის „შველი წყლის პირას“ ეროვნული მუზეუმისთვის საჩუქრად გადაცემის ცერემონია. სურათი ციციშვილი-გედევანიშვილის ოჯახში 1949 წლიდან 2011 წლამდე ინახებოდა. ის არასდროს ყოფილა გამოფენილი ფართო საზოგადოების წინაშე. 2011 წელს სურათმა დატოვა საქართველო და Sotheby's-ის აუქციონზე გაიყიდა. „შველი წყლის პირას“ იმავე აუქციონზე მეორედ 2016 წელს გამოჩნდა. ნამუშევარი ცნობილია მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა და ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად გადასცა. სურათი შეუერთდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ყველაზე დიდ კოლექციას. ცნობილია მსახიობმა თამარ ციციშვილმა (1908-1988) და აკადემიკოსმა დიმიტრი გედევანიშვილიმა (1902-1990) სურათი „შველი წყლის პირას“ 1949 წელს

სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს - ერთ საღამოს სეირნობისას უცნობ სახლთან შეჩერდნენ, მასპინძელმა იცნო მსახიობი და სახლში მიიპატიჟა. თამარ ციციშვილი, რომელიც წლების მანძილზე მეტეხის მუზეუმში მუშაობდა და კარგად იცნობდა ფიროსმანაშვილის ხელნერას, შესვლისთანავე შეამჩნია კედელზე დამაგრებული სურათი. ყოფილი მფლობელის თქმით, სურათი მასთან „თეთრი დუქნიდან“ მოხვდა. თამარ ციციშვილი ოჯახს სთხოვა მისთვის მიეყიდათ ნამუშევარი. მასპინძელმა გაყიდვა არ ისურვა და სურათი მსახიობს აჩუქა. დღეიდან „შველი წყლის პირას“ დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ფიროსმანის სხვა სურათებთან ერთად გამოფინება.



კოფორტული სპერაბი დიდუბის რაიონში

დიდუბის რაიონში 7 ახალი სკვერი მოეწყო. დიდუბის რაიონის გამგეობაში მოსახლეობისგან შემოსული განცხადებების საფუძველზე, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების თანამშრომლებმა შეისწავლეს სკვერისთვის განკუთვნილი ტერიტორიები და სატენდერო დოკუმენტაცია მოამზადეს, კონტრაქტორმა კომპანიებმა კი სკვერის მოწყობის სამუშაოები განახორციელეს. აღმაშენებლის გამზირ №181-ში, გოგოლაურის ქ. №18-ში, წერეთლის გამზირ №87-79-ს შორის, ახმეტელის ქ. №6-ში, ლუბლიანას ქუჩა №11-ში, ასევე დიღმის მასივის მე-4 კვარტლის მე-14-სა და მე-5 კვარტლის მე-20 კორპუსებთან მდებარე სკვერებში სამუშაოები პროექტის მიხედვით განხორციელდა.

ტერიტორიები დასუფთავდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, მოეწყო გრანიტის ბორდიურები, დაიგო დეკორატიული ფილები, დაიდგა საპარკე სკამები და ურნები. დამონტაჟდა გარე განათების ბოძები და სასმელი წყლის სოკოები. მოსახვედრები სკვერების ტერიტორიები შემოიღობა ლითონის დეკორატიული ლობით, სკვერებში აგრეთვე დამონტაჟდა საჩრდილო ლობები. პატარებისთვის გასართობი ზონაც მოეწყო. კაუჩუკის ხელოვნურ საფარზე დამონტაჟდა გასართობი საბავშვო ატრაქციონი სასრიალოებით, კარუსელითა და საქანელებით. 7 ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოებზე დიდუბის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 379 150 ლარი დაიხარჯა.

სულთათანა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და უსამძიმრებენ სახელოვან კოლეგას, პოეტსა და ჟურნალისტს, საგამომცემლო სახლ „ასავალ-დასავალის“ დამფუძნებელს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის



ნიკო ოპროსსვარიძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 28 IX, 17 სთ. დაკრძალვა 29 IX, 14 სთ. გამოსვენება იყალთოს ქ. №8 II სად. III სართ. (ბუკიას ბაღთან, ყოფილ კაფე „ნიკალას“ უკანა კორპუსი).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის კომპიუტერული ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს ილია თიღლაურს და მის მეუღლეს მაკა ნადარეიშვილს სიდედრისა და დედის

ნიკო ოპროსსვარიძის

გარდაცვალების გამო.

სპარტაკ ქობულა ოჯახით უსამძიმრებს უახლოეს მეგობრებს ლაშა და მაკა ნადარეიშვილებს ძვირფასი დედის

ნიკო ოპროსსვარიძის

გარდაცვალების გამო.

მამუკა ვაშაკიძე ოჯახით უსამძიმრებს ცნობილ პოეტს, ჟურნალისტსა და რედაქტორ-გამომცემელს, კოლეგასა და მეგობარს ლაშა ნადარეიშვილს დედის

ნიკო ოპროსსვარიძის

გარდაცვალების გამო.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, უკეთილშობილესი ადამიანი, ნამდვილი პროფესიონალი და მალაღობის პიროვნება, ბატონი

თინათინ ღონაძე

პანაშვიდი: 28 IX, ავჭალის დასახლება (აგარაკები), გურიის ქ. მე-3 ჩიხი. გამოსვენება: 29 IX, 14:00 სთ, ავჭალის წმ. დიმიტრი დედოფლის ქუთუთიდან ნამებულის სახელობის ტაძრიდან.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე, ქალაქ მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან არსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის თანამშრომელი, ქალაქ სოხუმის მერის მოადგილე, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, ჭეშმარიტი პატრიოტი

მამუკა ბრეზუაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მსოფლიოში სენტრებისა და სილაზის სალონების რეგისტრაცია საავტომობილო ხდება

„მსოფლიოში ცენტრებისა და სილაზის სალონების რეგისტრაცია საავტომობილო ხდება. 1 ოქტომბრიდან ყველა ის დანესებულდება, რომელიც რეგისტრაციის გარეშე განაგრძობს საქმიანობას, დაჯარიმდება.“ - აღნიშნული განცხადება გზუნი გამართულ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამ გააკეთა. ცვლილება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში შედის. ესტეტიკური ცენტრებისა და სილაზის

ახალი საპალიზოები თბილისის ქუჩებში

ქუჩის ტბის ასახვევიდან ვაკის პარკამდე, ვაკის პარკიდან გიორგი წერეთლის ქუჩის მიმართულებით და გორგასლის ქუჩაზე ენ. „ბასელინები“ (გზის საფალი ნაწილი განკუთვნილი მხოლოდ ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისთვის - „Bus Lane“) დაიხსნა.



საგზაო მონიშვნები ყვითელ ფერში შესრულდა და ზოლში გაკეთდა წარწერები „Bus Lane“. გზაჯვარედინებსა და ქუჩების შესახვევებში „Bus Lane“-ები წყვეტილია, რაც კერძო მანქანებსა და ტაქსებს სასურველი მიმართულებით შესვლის უფლებას აძლევს. უშუალოდ „Bus Lane“-ში მოძრაობა მათთვის აკრძალულია. ტრანსპორტის სამსახურმა თბილისში „Bus Lane“-ის დახაზვა ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყვიტა. საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ზოლების გამოყოფით საზოგადოებრივი ტრანსპორტი მეტად უსაფრთხო და სწრაფად იმოძრაებს. „Bus Lane“-ის დახაზვა აღმაშენებლის გამზირზეც იგეგმება.

ინტერნეტიდან

გულგარეთა მშვენიერება



ველარაა მონოდების სიმალღებზე, მათ ნაკრებს ისეთი მშვენიერი ასული ქომავლებს, აბა როგორ არ დაინტერესდები მისით?

მოკლედ, გაციანით: ფოტოზე გამოსახული მშვენიერი გოგონა ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების თილისმად მოვლენილი სილვია რანგელოვაა, რომელსაც ფეხბურთი დიდად არა სცოდნია, მაგრამ ნაკრების გულშემატკივრობას მაინც არასოდეს იზარებს და აკი დაიშახურა კიდევ თილისმის წოდება და იმიჯი.

სილვია რანგელოვა, სანამ ევროპაში გახდებოდა ცნობილი და პოპულარული მოდელი, მანამდე ჯერ ურუსთა მთავარ ქალაქში, მოსკოვში უმოღვანია და წარმოიდგინეთ, რამოდენა კონკურენციის გადალახვა მოუწევდა ევროპაში რომ გაეკვალა გზა. კვალს კი დატოვებდა - იცოცხლო...

როსტომ რაჭველიშვილი

ფოტოსადაღება სახელმწიფოში, ბულგარეთა ქვეყნად რომ უხმობენ, ფეხბურთი ჩვენზე ნაკლებად ნამდვილად არ უყვართ და ერთ დროს მშვენიერი საფეხბურთო ნაკრებიც დაურბოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარ ფეხბურთელთა ახალი თაობა დღეს

ანეკდოტები

შუალამისას მამაკაცთა განყოფილებიდან მორიგე ექთანს ავადმყოფი ურეკავს: - პატივცემულო ექთანო, საშინელი უძილობა მჭირს... არა, დასაძინებელი წამალი არ მინდა, ამიტომ არ განუხებთ... ხომ არ იცით, შემთხვევით, იქნებ ქალთა

ვიპოვე, წვნიანში კი ვაზნები.

მძიმე ეკითხება პაციენტს: - როგორ გძინავთ? - ცუდად, ექიმო! საღამოზე ადრე მეძინება - დილით გვიან მეღვიძება, თანაც სადილის შემდეგ სანამ დამეძინება, საათობით ვწრიალებ!



განყოფილებაშიც ვინმეს არ ეძინება?

თუ იცით, რით განსხვავდება „ახალი ჩუქჩა“ ჩვეულებრივისგან? - ??!

ახალი ჩუქჩის გამორჩევა შეიძლება ჟოლოსფერი თხილამურებით და კიდევ „ექვსასიანი“ ირმით, რომელსაც გადასახდელი რქები აქვს.

პატიმარი ციხეში ზედამხედველთან ჩივის: - რა არის, რა უხედურებაა, რას გვაჭმევთ ამ გასაცოდავებულ ხალხს?! აბა, ეს საქმეა - წელან კატლეტში პისტოლეტი

საშუბარი მატარებლის კუბეში: - იცით, ბატონო, ჩემი მეუღლე ანგელოზია! - თქვენ ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, ჩემი კი ჯერაც ცოცხალია..

განცხადება

იხილეთ დიდი დილმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მინის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გაღავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკორთანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი - შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იხილეთ უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მინის ნაკვეთი. ფასი - შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

„სახიფათო“ ქორწინება

ქორწინება ქალბატონებს... წონაში მომატებას უწყობს ხელს, მაინც ბრიტანელ მეცნიერებს.



სპეციალისტებმა ცხრა ათასი მანდილოსნის წონის მერყეობა გაანალიზეს და დაადგინეს, რომ გათხოვებამდე ისინი სწორად კვებდნენ, მაგრამ შემდეგ ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, რასაც წონაში მომატება მოყვებოდა. ამასთან, საგულისხმოა, რომ განქორწინებული ქალები წონაში კვლავ იკლებდნენ.

დიეტოლოგების აზრით, ამის მიზეზი ის კი არაა, რომ გათხოვილი ქალები თავის მოვლას ივიწყებდნენ, არამედ ის, რომ მეუღლესთან ერთობლივი ტრაპეზისგან ისინი გაცილებით დიდ სიამოვნებას იღებდნენ.

ტრანსპორტი სინგაპურში



ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ განვითარებულ მეგაპოლისში, კომფორტული მეტრო სინგაპურშიც არის. თითოეულ სადგურს თავისი ნომერი აქვს, რომელსაც ქვეყნის ყველა სახელმწიფო ენაზე - მალაიზიურ, ჩინურ, ტამილურ და, ცხადია, ინგლისურზე აცხადებენ.

ინვალიდებისთვის, ხანდაზმული ადამიანებისთვის და ფეხმძიმე ქალებისთვის ყველა ვაგონის კართან საგანგებო ადგილებია გამოყოფილი, რომლებსაც დანარჩენ

ნი მგზავრები არ იკავებენ. თითოეული ასეთი დასაჯდომი ხასხასა საღებავითაა შეღებილი, მის გვერდით კი იმის გამოსახულებიანი აბრაა გამოკრული, ვისთვისაც ესა თუ ის ადგილია განკუთვნილი, თან მოწოდებაც ახლავს: „დაეხმარეთ, რომ მათი მგზავრობა სასიამოვნო იყოს!“, „პატივი ეცით, დაეხმარეთ!“ და ა.შ. თუმცა ხალხი მეტროში ნაკლებად - სინგაპურში საუცხოოაა განვითარებული ტაქსების ქსელი, ტარიფები გამჭვირვალეა, მანქანის პოვნა ძალიან მარტივია, საამისოდ ნებისმიერ სასტუმროსთან ან საგანგებო სადგომზე ორი წუთით გაჩერება კმარა. ფართოდაა გავრცელებული ავტობუსების ქსელი, ყველა გაჩერებაზე კი ელექტრონული ტაბლოა დამონტაჟებული, რომელზეც წუთებში მითითებულია საჭირო ნომრის მარშრუტის მანქანის მოსვლისა და მგზავრისთვის საჭირო გაჩერებამდე მგზავრობის დრო.

„პერუს ქრიანთეა“ ჩვენს სამზარეულოში

ჩვენში, ალბათ, ძნელი მოსაძებნია სამზარეულო, სადაც დიასახლისის ბოთლი მზესუმზირა მაინც არ პქონდეს შემონახული.



მზესუმზირა - ამერიკის კონტინენტის ბინადარია, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ, მათ შორის „ინდიელთა ოქროსფერ ყვავილს“, „მზის ბალახს“, „პერუს ქრიანთემას“. მე-18 საუკუნის მიწურულს ევროპაში მისგან ზეთის გამოხდა ისწავლეს, მანამდე კი მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა.

კვების სპეციალისტები მზესუმზირის ზეთის ბოთლით შენახვას დიასახლისებს მშრალ, ბნელ და გრილ ადგილას ურჩევენ. სალატებში ბოსტნეულზე მარილის მოყრა ზეთის დამატებამდე უნდა, რადგან ის ცხიმში არ იხსნება.

მცენარეული ზეთი ქოლესტერინს არ შეიცავს - იგი მხოლოდ ცხოველურ ცხიმებში „მოპოვება“. ამიტომაც ზეთის ბოთლის ეტიკეტზე წარწერა „ქოლესტერინს არ შეიცავს“, სხვა არაფერია, თუ არა სამარკეტინგო სვლა.

„დიაგნოსტი“ ლაბრადორი



სამხრეთი კორეის დედაქალაქ სეულის მთავარ ონკოლოგიურ კლინიკაში ლაბრადორ-რეტრივერი მერინი „მუშაობს“, რომელსაც პერსონალი „მთავარ დიაგნოსტს“ უწოდებს.

გენეტიკის წყალობით ძალს გასაოცარი ყნოსვა აქვს, რომლის წყალობით ის უტყუარად იცნობს, აქვს თუ არა ადამიანს კიბოს უჯრედები.

კორეელებმა მერინის კლონირებაც კი განახორციელეს და ამჟამად მისი რამდენიმე ორეულიც მოსახლეობის ჯანმრთელობის სადაზღოვება. გარდა ამისა, ძალღების უნიკალურ ყნოსვას გეოლოგიაშიც იყენებენ, რის წყალობით გარკვეული სახეობის სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს აგნებენ.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე 293-13-34 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; რუსლან რუსია 599 17-21-21; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანადგომი“-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საფურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!



რუსთაველი 28 სექტემბრისთვის აქვს ფონური - 2.3345; პირი - 2.6247; პრინტინგის ბიზნესი სტარტინგი - 3.0206; 100 რუბლი - 3.6493; ონლაინ ლინკი - 0.7824; ავტორთა პენსია - 1.4223; 1000 სოფელი ღრამი - 4.9261.

ავტორთა საფურადღებოდ! აქვს ფონური - 2.3345; პირი - 2.6247; პრინტინგის ბიზნესი სტარტინგი - 3.0206; 100 რუბლი - 3.6493; ონლაინ ლინკი - 0.7824; ავტორთა პენსია - 1.4223; 1000 სოფელი ღრამი - 4.9261.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE